



ქუთაისის ახალი მერი ჰყავს - ბიორკი ჭიჭვარია



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შედეგების მიხედვით, ქუთაისის ახალი მერი ჰყავს - „ქართული ოცნების“ კანდიდატი ბიორკი ჭიჭვარია. მან საკუთარ ამომრჩევლებს სოციალური ქსელის მეშვეობით უკვე მიულოცა გამარჯვება და ფესტუქგვერდზე სტატუსი გამოაქვეყნა.

„ჩვენ გავიმარჯვეთ! ძალიან დიდი მადლობა თითოეულ ჩემს თანაქალაქელს ნდობისა და მხარდაჭერისთვის. მე ვიღებ პასუხისმგებლობას, ვიყო ყველა თქვენგანის მერი. ერთად ვემსახუროთ ჩვენს ქალაქს იმისთვის, რომ ქუთაისმა ღირსეული ადგილი დაიჭიროს ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე და იყოს ძლიერი ქალაქი ძლიერი საქართველოსთვის. გპირდებით, რომ მომდევნო 4 წელი იქნება წარმატებული“ - გიორგი ჭიჭვარია.

როგორც ცნობილია, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური თვითმმართველ ქალაქ ქუთაისსა და 5 თვითმმართველ თემში — ყაზბეგში, ხაშურში, ბორჯომში, ოზურგეთსა და მარტვილში ჩატარდა. ცესკოს მონაცემებით, ქუთაისში ამომრჩევლთა ყველაზე დაბალი აქტივობა დაფიქსირდა

თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის მერის არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგები ასეთია:

№5. გრიგოლ ვაშაძე (საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) - 13,36;

№41. გიორგი ჭიჭვარია („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) - 86,64.

საქართველოს რეაქტივობის კონსტიტუცია სრულად 2020 წელს ამოქმედდება

პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო განხილვა მოეწყობა. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ დასავლეთ საქართველოს სტუდენტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რეგიონში მოქმედი არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები. პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ რეაქტივობის კონსტიტუცია მუხლობრივად განიხილა და მსწრე საზოგადოების წინაშე და საკონსტიტუციო ცვლილებების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კობახიძის თქმით, თითოეული მუხლი მხოლოდ პოზიტიურ ცვლილებას მოიცავს და ხელს უწყობს როგორც სახელმწიფო მმართველობის, ასევე - საარჩევნო სისტემის დახვეწას.

საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვისას ირაკლი კობახიძემ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა: პროპორციულ საარჩევნო სისტემის შემოღებაზე, ბონუსების სისტემის გაუქმებაზე, პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევაზე. ახალი შესწორების მიხედვით, პრეზიდენტს 300 ხმოსანის ნაცვლად „საარჩევნო კოლეჯი“ აირჩევს.

„მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „ხმოსანი“ ქართული წარმომავლობისაა, ის მაინც ქოლიკის საბაბი ვახდა, ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვეცვალა და მის ნაცვლად, კონსტიტუციაში ჩაგვწერეთ „საარჩევნო კოლეჯი“ - განაცხადა კობახიძემ.

კონსტიტუციაში ერთი ახალი დამატებაც გაჩნდა, რომლის მიხედვითაც: ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტთან თავისუფალად სარგებლობის საშუალება.

ახალი შესწორების მიხედვით, პარლამენტის წევრს შეუწყდება უფლებამოსილება ვადაზე ადრე, თუკი არასაპატიო მიზეზით სხდომების ნახევარზე მეტს გააცდენს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა უზენაესი სასამართლოების მოსამართლეების არჩევის საკითხს, კონსტიტუციის 61-ე მუხლში წერია, რომ უზენაესი სასამართლოს 28 წევრისაგან შემდგარ მოსამართლეებს ოუსტი-



ციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ ირჩევს პარლამენტი.

აღნიშნული რეფორმები მიუღებელია პარლამენტის ოპოზიციური ნაწილისთვის. ისინი ბოიკოტის რეჟიმში არიან და შესაბამისად, საკონსტიტუციო განხილვასაც არ ესწრებოდნენ.

კონსტიტუციის განხილვას ესწრებოდა დამოუკიდებელი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილებები არ არის იდეალური, თუმცა ქვეყნის იმიჯისთვის აუცილებელია ურთიერთშეთანხმების მიღწევა ამ საკითხში, რათა დროულად შეიქმნას ახალი სისტემა.

„ეს არის ის დოკუმენტი, რომელიც სრულად ამოქმედდება, როგორც კი შედგება შემდეგი საპარლამენტო არჩევნები, როგორც კი შედგება პირველი შეკრება ამ სხდომათა დარბაზში, 2020 წლის ნოემბერში, მაშინვე ჩაირთვება სრულად ყველა საკანონო რეგულაცია, რომელიც მოცემულია ქვეყნის ძირითად კანონში - დაწყებული პროპორციული საარჩევნო სისტემით, დამთავრებული პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესით. ეს არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში

ძალიან დახვეწილი მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს ძლიერ პარლამენტს, რომელიც უზრუნველყოფს ქმედით მთავრობას, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ სასამართლოს და პარტიული კუთხით ნეიტრალურ პრეზიდენტის ინსტიტუტს. ეს იყო საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარი სულისკვეთება და არის“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

2024 წელს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, „სამოქალაქო კოლეჯი“ აირჩევს საქართველოს პრეზიდენტს.

ქუთაისის შემდეგ, კონსტიტუციის პროექტის განხილვა თბილისში, პარლამენტის შენობაში მოეწყობა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს აკადემიური წრეების წარმომადგენლები დაესწრებიან.

შეგახსენებთ, ახალი კონსტიტუციის ტექსტის შედგენა მოხდა ვენეციის კომისიის შენიშვნების საფუძველზე, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, საქართველოს საზოგადოების პროგრესული ნაწილისთვის ქვეყნის უზენაესი დოკუმენტის შესახებ აზრი მის დარედაქტირებამდე რომ ეკითხათ.

ლიკა დავლარიანი

„ნატახტარი“-ს ფონდმა ზრუნვის სისტემიდან გასული მოზარდების მხარდაჭერის პროგრამის კრიზისული მართვა ქუთაისში გამართა

კომპანია „ნატახტარი“ და „კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“ ადვოკატირების ფარგლებში ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვედრა გაიმართა, სადაც ზრუნვის სისტემიდან გასული მოზარდების მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაცია შედგა.



შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მედიასამუშაოებები, სოციალური მუშაკები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იმერეთის მუნიციპალიტეტების სოციალური სამსახურების წარმომადგენლები. პრეზენტაციასთან ერთად, მოეწყო ახალგაზრდების მხარდაჭერის კუთხით იმერეთის რეგიონში არსებული ვითარების განხილვა.

სახადების დაფარვასა და სამგზავრო შეღავათების დაწესებამი. ფონდის საქმიანობაზე საუბრობს ასოციაცია „ჩვენი სახლი“-ს ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი მანანა ომარაშვილი: ფონდი „ნატახტარი“ აფინანსებს ზრუნვის სისტემიდან გასულ ახალგაზრდებს, ასოციაცია „ჩვენი სახლი“-ს გუნდი კი მუშაობს, მოზარდებს მისცეს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარები და ცოდნა, რათა მომავალში მოხდეს მათი დასაქმება და საზოგადოებაში სწორი ინტეგრაცია.

ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებს უმეტესწილად არაფინანსდება. მესამისადა, აქვთ იურიდიული რეგისტრაციის პრობლემა, რის გამოც ხშირად არასწორ გზას ირჩევენ, ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ამ ახალგაზრდების შემდგომი ცხოვრება.

ფონდი „ნატახტარი“ ეხმარება მთელი საქართველოს მასშტაბით არსებულ ყვე-

ლა მცირე საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მოთავსებულ ბენეფიციარებს. 15 წლიდან ფონდი ხელს უწყობს ზრუნვის სისტემიდან გასული მოზარდების განათლებასა და პროფესიულ ორიენტაციას, ხოლო 18 წლის შემდეგ ეს ახალგაზრდები ტოვებენ ზრუნვის სახლებს, თუმცა ფონდი მათთან მუშაობას მაინც აგრძელებს.

„ახალი პროექტი ითვალისწინებს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გამოიყონ დამატებითი რესურსი მზრუნველობიდან გასული 18 წლის ბენეფიციარებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ძალები დამოუკიდებელი ცხოვრების გასაგრძელებლად. ფონდს შეუძლია, თვითმმართველობებს შესთავაზოს ფსიქოლოგიური სამსახურით უზრუნველყოფა. ჩვენ სახელმწიფო რესურსის დახმარებით უფრო კარგი შედეგების მიღწევა შეგვიძლია.“ — განაცხადა კომპანია „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ნინო სურმაგიაძემ.

ფონდის მთავარი ფინანსური მხარდაჭერი არის კომპანია „ნატახტარი“, რომელიც ყოველწლიურად, 8 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, ლიმონათი „ნატახტარის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან 1, 3 და 5 თეთრს რიცხავს ფონდს „ნატახტარში“. ამ გზით ფონდში

დაგროვილი თანხა მისი დაარსებიდან დღემდე შეადგენს 75 000 ლარს. ფონდი სულ 307 ბენეფიციარს დაეხმარა.

2017 წლის ივლისიდან ფონდს „ნატახტარს“ და კოალიცია „ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“ შორის უთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ შრომის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტრო, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო, მთავრობის ადმინისტრაცია. პროგრამა ერთგვარი სახელმძღვანელო იქნება მუნიციპალიტეტებისათვისა და მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარებისთვის.

ფონდის საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაიმართება.

ლიკა დავლარიანი

PS news.ge logo and ISSN barcode



# ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გაგებლის, ტარიელ თუთაშვილის 2014-2017 წლებში განხორციელებული მუშაოების ანგარიში

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მოკლედ წარმოგიდგინოთ ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, კულტურულ თუ საგანმანათლებლო პროექტებს, რაც ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა ჩემი გამგებლობის პერიოდში განახორციელა. შეიძლება ითქვას რომ ეს არის ჩემი ბოლო ანგარიში, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებლის რანგში ვატარებ. ამიტომ მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის გამგებობის ყველა თანამშრომელს, რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში ჩემთან ერთად უმკლავდებოდნენ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს. მე ვერ ვიტყვი რომ ეს იყო მარტივი, მაგრამ ჩვენ ყველამ ერთად შეძელით ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. აქვე მინდა მადლობა ვუთხრა 2014 წლის არჩევნების საკრებულოს. რომ არა მათთან კოორდინაცია და თანამშრომლობა, შეიძლება ითქვას რომ ძალიან ბევრი პროექტი განუხორციელებელი იქნებოდა. ასევე მადლობას ვუთხრებ ყველა ზესტაფონელს, რომელმაც 2014 წლის არჩევნებით ნდობა გამოიძიხა. მათაც, ვინც არ მომცა ხმა, მაგრამ განვილო პერიოდში ჩემი საქმიანობა ობიექტურად შეაფასა. მე ძალიან ვულწრფელი ვარ როცა ამ გადასახდელთან ვამბობ, არასოდეს გაქცევდით ობიექტურ კრიტიკას, პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს. იმედს ვიტოვებ, რომ ზესტაფონელები დროთა განმავლობაში სწორად შეაფასებენ იმ გზას, რომელიც მე ამ პერიოდში მათთან ერთად გავიარე.



ნებისმიერ შემთხვევაში ყველა პროექტისა და დაპირების განახორციელებლად საჭიროა ფინანსური უზრუნველყოფა, ამიტომ ანგარიშს სწორედ ფინანსური მიხედვებით დავიწყებ. 2014 საბიუჯეტო წელს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე მოზიდულია 13475,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის მოცულობის 107 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2013 წლის შემოსულობებთან შედარებით 1377,6 ათასი ლარით მეტია. 2014 საბიუჯეტო წელს ბიუჯეტის შემოსულობებიდან შემოსავლების სახით მიღებულია 13291,0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების შედეგად 187,5 ათასი ლარი. შემოსავლებიდან გადასახდლების სახით მოზიდულია 2733,8 ათასი ლარი, წლიური გეგმის 132 პროცენტი. 2014 წელს გრანტების სახით მიღებულია 9 019,6 ათასი ლარი, წლიური გეგმის 99,8 პროცენტი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი 5 353,9 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 100 პროცენტი. მიზნობრივი ტრანსფერი შემოსულია 240,0 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 100 პროცენტი. საქართველოს რეგიონებში განახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებიდან მიღებულია 2 355,8 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერი პროგრამებისათვის გამოყოფილი ტრანსფერებიდან მიღებულია 1 069,9 ათასი ლარი, 2014 წელს არასაგადასახადო შემოსავლების (სხვა შემოსავ-

ლები) სახით მოზიდულია სულ 1537,6 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 112 პროცენტი, 2013 წელთან შედარებით 145,8 ათასი ლარით მეტი.

2014 წელთან შედარებით გაზრდილი იყო 2015 წლის ბიუჯეტის მოცულობა. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე 2015 საბიუჯეტო წელს მოზიდულია 15693,8 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 14 767,1 ათასი ლარისა (106%), რაც გეგმიურს 926,7 ათასი ლარით აღემატება, ხოლო 2014 წლის ფაქტიურთან შედარებით 2 215,9 ათასი ლარით მეტია. 2015 საბიუჯეტო წელს ბიუჯეტის შემოსულობებიდან შემოსავლების სახით მიღებულია 10810,8 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების შედეგად 472,9 ათასი ლარი. 2015 წელს შემოსავლებიდან გადასახდლების სახით მოზიდულია 2394,5 ათასი ლარი, წლიური გეგმის 119,7 პროცენტი. 2015 წელს გრანტების სახით მიღებულია 11 199,6 ათასი ლარი ანუ ბიუჯეტის მოცულობის 71,4 პროცენტს, რომლის შემოსულობის მოცულობის გეგმა შესრულდა 99,9 პროცენტით, რაც 2014 წელთან მიმართებაში 2180,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: მოზიდულია გათანაბრებითი ტრანსფერი 6549,5 ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი 240,0 ათასი ლარი, რეგიონალური განვითარების ფონდის ტრანსფერი 3117,5 ათასი ლარი. სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ტრანსფერი 1065,3 ათასი ლარი. 2015 წელს არასაგადასახადო შემოსავლების სახით (სხვა შემოსავლები) მოზიდულია 1626,8 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 117,4 პროცენტი, რაც 2014 წლის მონაცემებთან 89,2 ათასი ლარით მეტია.

წინა 2 წელთან მიმართებაში კიდევ უფრო მეტი მოცულობისა მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტი. 2016 საბიუჯეტო წელს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოზიდულია 16636,2 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 15 801,2 ათასი ლარისა ანუ 105,3 პროცენტი. რაც გეგმიურს 835,0 ათასი ლარით აღემატება. 2016 წელს შემოსავლებიდან საგადასახადო შემოსულობების სახით მიღებულია 5628,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიურის 119,8 პროცენტი. 2016 წელს მუნიციპალიტეტს გრანტების

სახით მიღებული აქვს 9633,9 ათასი ლარი. აქედან: გათანაბრებითი ტრანსფერი 5230,8 ათასი ლარი, ეს ციფრი 2015 წელთან შედარებით 1318,7 ათასი ლარით ნაკლებია. მიზნობრივი ტრანსფერი 240,0 ათასი ლარი, სპეცტრანსფერი 4163,1 ათასი ლარი, რომელიც 2015 წელთან შედარებით 19,7 ათასი ლარით ნაკლებია. 2016 წელს ბიუჯეტის შემოსავლებში არასაგადასახადო შემოსავლებმა 1259,1 ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმიურის 96,3 პროცენტი.

ვინაიდან ამ დროისათვის შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ 9 თვის მონაცემით, ბიუჯეტის შესრულების მონაცემი ზუსტად არ ასახავს 2017 წლის საბიუჯეტო მაჩვენებელს. ამ დროისათვის, ანუ 2017 საბიუჯეტო წლის ცხრა თვეში სახაზინო ანგარიშზე მოზიდულია 9995,2 ათასი ლარი ანუ წლის გეგმის 84,3 პროცენტი. აღნიშნული მონაცემის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ 2017 წლის ბიუჯეტი, წინა წლების მსგავსად გადაჭარბებით შესრულდება. 2017 წლის 9 თვეში შემოსავლებიდან საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 3223,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 3756,6 ათასი ლარისა ანუ გეგმიურის 85,8 პროცენტი. 2017 წლის 9 თვეში გრანტების სახით მოზიდულია 5697,3 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 6670,4 ათასი ლარისა ანუ 85,4 პროცენტი. აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3917,7 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 180,1 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 1607,5 ათასი ლარი, რაც გეგმიურთან შედარებით 965,4 ათასი ლარით ნაკლებია (62,4%). 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში გრანტების სახით ნაცვლად გეგმიური 8016,9 ათასი ლარისა შემოსულია მხოლოდ 6765,5 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 84,4 პროცენტი. ხოლო 2017 წელთან შედარებით 1068,2 ათასი ლარით მეტი. სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით რომ 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს არ გამოეყოთ სოფლის მხარდაჭერი პროგრამით გათვალისწინებული ტრანსფერი. 2017 წლის 9 თვეში სხვა შემოსავლები ანუ არასაგადასახადო შემოსავლები მოზიდული იქნა 909,0 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 102,7 პროცენტი.

განვილო 4 წელიწადში ბიუჯეტის

შემოსავლების ერთ ერთი წყარო გახდა მუნიციპალური ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავლები. 2014-2017 წლებში გასხვისებულია 554903 ლარის ქონება. აუქციონის წესით გასხვისებულია 43 ობიექტი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრებმა მოგვცა საშუალება განხორციელებულიყო სხვადასხვა პროექტები. ვინაიდან ამ წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო ინფრასტრუქტურა, წარმოგიდგინოთ ამ წლების განმავლობაში განხორციელებული პროექტების მოკლე მიმოხილვა.

**2014 წელს საინვესტიციო პაკეტის** ხარჯებით მონაცემი დაახლოებით 3 888 000 ლარი, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დახარჯულია თითქმის 462 000 ლარი როგორც შედარებით მასშტაბურ, ასევე შედარებით მცირე პროექტებზე, საერთო ჯამში 47 პროექტზე. რეგიონალური განვითარების ფონდის (რგფ-ის) დაფინანსებით განხორციელდა 8 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 3 ქუჩის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში ღამის განათების მოწყობა, კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია და ა.შ. საერთო ჯამში გახარჯულია თითქმის 2 356 000 ლარი, ხოლო „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში“ გახარჯული იქნა თითქმის 1 070 000 ლარი, რომლითაც დაფინანსებული იქნა თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი თანხებით მოსახლეობის მიერ საერთო კრებებზე დასახლებული პრიორიტეტული სამუშაოები.

2015 წლის საინვესტიციო პაკეტის მოცულობა შედარებით მეტია და იგი დაახლოებით 6 112 000 ლარზე მეტია. საინვესტიციო პაკეტში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯულია 1 700 800 ლარი. ამ თანხით მუნიციპალიტეტმა შეძლო დაფინანსებია მრავალსართულიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, გზებზე ბეტონის სამუშაოების ჩატარება, მინი-სტადიონების რეაბილიტაცია, ქუჩების გარე განათების მოწყობა, ასევე რამდენიმე მისამართზე სანიღრე არხების მოწყობა, რამდენიმე შენობაში სარეაბილიტაციო

სამუშაოების ჩატარება და ა.შ. 2015 წელს მუნიციპალიტეტმა რგფ-დან მიღებული თანხებით დააფინანსა თითქმის 3 118 000 ლარის ღირებულების 20 პროექტი. მათგან მნიშვნელოვანია რომ მუნიციპალიტეტმა შეძლო 3 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა (ქალაქის N7, მეორე სერის N12 და ქ.საქარის N35 საბავშვო ბაღები), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენობის ნაწილის რეაბილიტაციის შემდეგ გაიხსნა 1 ახალი საბავშვო ბაღი და რეაბილიტაცია ჩაუტარა 4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობას. ასევე ჩატარებულია გზების რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოები 7 მისამართზე. 2015 წლის ივნისის სტიქიით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მუნიციპალიტეტმა ცენტრალური ხელისუფლებისაგან მიიღო 228 000 ლარი, ხოლო „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში“ მოსახლეობისაგან შერჩეული პრიორიტეტული პროექტებისათვის გახარჯულია თითქმის 1 066 000 ლარი.

ამავე წლის მნიშვნელოვან პროექტთა შორისაა საყვარია-კირკისუბნის წყალმომარაგების პროექტი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 25კმ-იანი ქსელის მშენებლობას ითვალისწინებს. ქსელის მოწყობის შემდეგ ამ დასახლების 1400მდე აბინენტი სასმელი წყლის ცენტრალიზებული სისტემით მიღებას შეძლებს. აღნიშნული პროექტი ზესტაფონის წყალმომარაგების პროექტის II ეტაპის ფარგლებში ხორციელდება.

2015 წლის საინვესტიციო პროექტებიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული გახდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც გავარძელდა 2016 წელს. 2016 წლის საინვესტიციო პაკეტით დაფინანსებული პროექტებში კვლავ პრიორიტეტულია საბავშვო ბაღების მშენებლობა. რგფ-ებიდან გამოყოფილი თანხებით აშენდა 2 ახალი საბავშვო ბაღის შენობა ქვედა საქარა (ქალაქი)-სა და ცხრაწყ აროში. ასევე კვლავ მნიშვნელოვანი იყო გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია. 2016 წლის რგფ-ით გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა გზების-მშენებლობის 12 პროექტი. რგფ-იდან გამოყოფილი თანხების პარალელურად, ადგილობრივი ბიუჯეტმა საკუთარი დაფინანსებით ასევე განახორციელა გზების მშენებლობა, მრავალსართულიანი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია, ღამის გარე განათების ქსელის მოწყობა, სანიღრე არხების მოწყობა და არაერთი მცირე მასშტაბის პროექტი, საერთო ჯამში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა თითქმის 2 669 000 ლარი, რგფ-დან გამოყოფილი თანხებით 3 122 000 ლარი, ხოლო სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში“ შესრულდა 1 074 000 ლარის ღირებულების სამუშაო. საერთო ჯამში 2016 წლის საინვესტიციო პაკეტის მთლიანი მოცულობა ღარჩა 6 865 000 ლარი.

გაგრძელება მე-3 გვერდზე









იაკობ ცერცვაძე:

„ჩვენ პრევენციული უპეკენით, რომ ქუთაისში გაკეთდეს ყველა იმ სახის ოპერაცია, რაც საქართველოში და, ზოგადად, მთელ მსოფლიოში კეთდება“



გაზეთი P.S. ("პოსტსკრიპტუმი") და ინტერნეტპორტალი www.psnews.ge იწყებს ახალ რუბრიკას "საზოგადოებრივი ფონდიდსკობი".

რუბრიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ქუთაისის სამედიცინო სივრცის შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას.

ქუთაისელი ექიმების გარდა, გაგაცნობთ სხვადასხვა ფაქტობრივ სიახლეებს, ნაკლებად ცნობილ სამედიცინო ისტორიებს და ნებისმიერ მიღწევას, რაც ქალაქში დაინერგება. რუბრიკას ეყოლება კვირის სტუმარი, რომელსაც ქართულ მედიცინაში უკვე აქვს გარკვეული სახელი და რომელიც წარმოადგენს ქუთაისის რომელიმე საავადმყოფოს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის რუბრიკა რეგიონულ მედიასივრცეში დღემდე არ არსებობს.

"საზოგადოებრივი ფონდიდსკობის" პირველი კვირის სტუმარი გახლავთ დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის ნეიროქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იაკობ ცერცვაძე.

პროლოგის მაგიერ

იაკობ ცერცვაძე 1985 წლის 8 აგვისტოს ქუთაისში დაიბადა. ქუთაისის 37-ე სკოლის 9 კლასის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო-სამედიცინო კოლეჯში სწავლობდა, ხოლო შემდეგ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა. 2008 წლიდან 3 წელი ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკაში მუშაობდა რეზიდენტად. შემდეგ იმყოფებოდა სტაჟირებაზე თურქეთში, 19 მაისის საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც განყოფილების უფროსი იყო ძალიან ცნობილი ნეიროქირურგი ჩენგის ჩობუკი. 2 წელი ამავე კლინიკაში რეზიდენტად იმუშავა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ აიღო ექიმის ლიცენზია. 2013 წლიდან მუშაობს დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში.

2015 წელს დაოჯახდა, ჰყავს მუშაობა და ერთი შვილი.

ლიალოვი

- ბატონო იაკობ, რატომ აირჩიეთ ნეიროქირურგია?

- სტუდენტობის ბოლო წლებში ვმუშაობდი თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს რენიმაციულ განყოფილებაში ექთნად და შემდეგ - უმცროს პედიატრად. ფაქტობრივად, სტუდენტობის პერიოდში მხოლოდ რენიმაციის მუშაობის შესახებ მქონდა პრაქტიკული ცოდნა, თავიდან რენიმაციოლოგობას ვაპირებდი.

ჩემი შორეული ნათესავი არის ნეიროქირურგი, ერთხელ სრულიად შემთხვევით მასთან ერთად დავესწარი რამდენიმე ოპერაციას. ეს იყო მიზეზი, რატომაც ვადამყვინებ ნეიროქირურგობა. რეალურად ნეიროქირურგის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, თუ არ ჩავთვლით უნივერსიტეტში ამ მიმართულებით გავლილ 10 დღიან სწავლებას და რამდენიმე ოპერაციას.

- რამდენად რთულია, 33 წლის ასაკში იყო ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ნეიროქირურგი?

- ძალიან რთულია, როდესაც ვილაციის სიცოცხლე გაბარია. საოპერაცი-

ოში ხართ მხოლოდ შენ და პაციენტი. თუ დაავადებული არ ხარ ნეიროქირურგით, ამ დიდ ემოციებს ვერ გაუძლებ.

გარდა ამისა, ეს არის ისეთი პროფესია, რომელიც ძალიან მზარდად ვითარდება, რომელიც დიდ ინტელექტს, გონებრივ დაძაბულობას და ყოველდღიურ განვითარებას მოითხოვს. ჩემთვის ნეიროქირურგია არის პირველი პრიორიტეტი. ფაქტობრივად, როდესაც სახლში ვარ, მაშინაც ჩემს პაციენტებზე ვფიქრობ. ალბათ, რომ არა ჩემი საქმის სიყვარული, ამ სირთულეებს ვერ დავძლებდი.

- თქვენ საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად გიწვევთ სტრესულ გარემოში მუშაობა. რამდენად რთულია პროფესიული დისტანციის დაცვა მაშინ, როდესაც ძალიან მძიმე პაციენტებთან მუშაობთ? სად გადის ზღვარი ექიმურ სიყვარულსა და თქვენს ჰუმანიზმს შორის?

- საოპერაციოში ყველა ადამიანური თვისება გავიწყდება, ოჯახი და შვილიც კი არ ვახსოვს ამ დროს, მხოლოდ პაციენტზე ვფიქრობ. ფაქტობრივად, არანაირი დისტანციის დაცვა არ გჭირდება, რადგან მხოლოდ შენს მოვალეობაზე ფიქრობ. თუ ამ მიმართულებას ირჩევ, ფსიქოლოგიურად იმდენად ძლიერი უნდა იყო, რომ ადამიანურმა ფაქტორებმა არ უნდა შეგაწიფოს. თუმცა, ეს ემოციები ილექება და მხოლოდ შენ და შენმა თავმა იცით, როგორი სტრესი მიიღე თითოეულ ოპერაციაზე. ჩემი აზრით, პიროვნულ თვისებებს ყველა პროფესიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გარკვეულწილად, პიროვნების ხასიათი განაპირობებს მის პროფესიულ არჩევანს. ბავშვობიდან მიყვარდა გაჭირვებული ადამიანების დახმარება. ამ სურვილმა განაპირობა ის, რომ სამედიცინო სფერო ავირჩიე. ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ვერასდროს ვიქნებოდი პოლიციელი. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე, როგორი სკოლა გაქვს გავლილი და ვინ გასწავლიდა.

- ბატონო იაკობ, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპის გამო. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ასაკში შესულ ექიმებს, ახალგაზრდა კოლეგებთან შედარებით, მეტი გამოცდილება აქვთ და შესაბამისად, მათ მიმართ უფრო მაღალი ნდობა არსებობს. რამდენიმე ფაქტი დაგვიხსენებთ, რომელიც ამ სტერეოტიპს დაამსხვრევს.

- არასწორია ეს დღგომა. 33 წელი არ არის პატარა, რამდენ ნეიროქირურგია არის იმდენ მაღალტექნოლოგიური მიმართულება, თუ ეს ყველაფერი პატარა ასაკში არ დაიწყო, ძალიან გაცივრდება ამ სიახლეების ათვისება. მაგალითად, ენდოსკოპიური ოპერაციების გაკეთების სწავლა 40 წლის მეტე უფრო რთულია, ვიდრე მანამდე. კვლევა-ცა ამ საკითხზე ჩატარებული.

2 თვის წინ სტუმრად გვყავდნენ იაპონელი პროფესორი და საქართველოს წამყვანი ნეიროქირურგები. შემეცანებელი კონფერენცია ჩავატარეთ, სადაც დავთავაზეთ ჩვენი განყოფილების მიერ, ჩემი ხელმძღვანელობით გაკეთებული ოპერაციები. 2015 წლიდან დღემდე 1000 ოპერაცია ჩვენს ანგარიშზე. თავის ქებაში არ ჩამომართვით, მაგრამ ამ 1000 შემთხვევიდან არც ერთი არ მახსენდება, რომელსაც მე წარუმატებელ შემთხვევას დავარქმევდი. თუმცა, საზოგადოება რას უწოდებს წარუმატებელ შემთხვევებს, ეს კიდევ სხვა საკითხია. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ საქმაოდ კარგი შედეგები გვაქვს.

ამ კლინიკამ 2015 წელს გამოიშვა გერმანიაში სტაჟირებაზე. ძალიან გამომართლა, რადგან იქ გავიცანი ძალიან ცნობილი პროფესორი პიტერ მიდელეკი, რომელიც უკვე პენსიაში გადიოდა. მას ვთხოვე, ჩამოსულიყო ქუთაისში ჩვენს საავადმყოფოში, ახალგაზრდა ნეიროქირურგების დასახმარებლად. მან შემიყვანა საწყობში, სადაც მეორადი ინსტრუმენტები ინახებოდა. როგორი



იაკობ ცერცვაძე



ხელსაწყოები იყო იცით? კლიპსია ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც ერთხელ რომ ვახსნიან, მემდეგ აღარ იყენებენ, 500 ევრო ღირს. ესკულაპის ფირმის 5 ჩანთა ინსტრუმენტები მაქვს. მე-ულლესთან ერთად ვყავი წასული, პირადი ნივთები დავტოვეთ, ეს ინსტრუმენტები რომ წამომეღო. ძალიან ვახარებული ვიყავი. მას შემდეგ პიტერ მიდელეკი ქუთაისში სამეგრ ვეგეტურა. მან ჩემს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. როდესაც ასეთი გამოცდილი ექიმი საოპერაციოში თავზე გადგას და გასწავლის, რა როგორ უნდა გააკეთო, ეს დიდი კომფორტია. მისი დახმარებით დავიწყეთ ამ კლინიკაში თავის ტვინის სისტემატროფიანი პათოლოგიების მკურნალობა. მსგავსი ოპერაციები დასავლეთ საქართველოში ასეთი მასშტაბით არ გაკეთებულა. მაგალითად, 2015 წლამდე პაციენტს თუ ანევიზმა ჰქონდა თბილისში უმეგდნენ.

ჩვენ პრევენციული უპეკენით, რომ ქუთაისში გაკეთდეს ყველა იმ სახის ოპერაცია, რაც საქართველოში და ზოგადად, მთელ მსოფლიოში კეთდება. ვმუშაობთ იმ ოპერაციების დაწყებაზე, რომელიც ვერ საქართველოში არ კეთდება. დანარჩენი საქართველოში ვანსაჯოს.

- ბატონო იაკობ, თქვენს საუბრიდან კარგად ჩანს, რომ თქვენს წარმატებას ქუთაისის წარმატებად მიიჩნევენ. მაინც რას ნიშნავს თქვენთვის ეს ქალაქი?

- ქუთაისი ჩემთვის ყველაზე კარგი ქალაქია. ქუთაისი არის ჩემი ბავშვობა, ჩემი ოჯახი, ადგილი, სადაც ჩემ საქმეს ვაკეთებ და არანაირ ნაკლოვანებას არ ვანვიცი. მე მქონდა მანსი, კარიერა გამეკეთებია თურქეთში ან თბილისში, მაგრამ როდესაც ქუთაისის ინტერვენციული კლინიკა ხელმძღვანელმა, დავით ჩიქოვანმა თანამშრომლობა შე-

მოთვანა, ქვეყნობიერად მომიხილა იმ ფაქტმა, რომ ქუთაისში მდებარეობდა ისეთი კლინიკა, რომელიც სერიოზული მიზნებისთვის მზად იყო.

- რომ არ მოგცემოდით ინტერვენციულ ცენტრში მუშაობის შანსი, შეძლებდით ასეთ მცირე დროში კარიერულად ასე განვითარებას?

- ალბათ, არა. ამ კლინიკამ ჩემს განვითარებაში საკმაოდ დიდი როლს იჩალო. ამ საავადმყოფოს გახსნის პირველივე დღიდან ყველაზე მაღალტექნოლოგიური საოპერაციოები ჰქონდა დასავლეთში, თუმცა, ჩემს ჩამოსვლამდე, ნეიროქირურგიაში იმ მასშტაბის ოპერაციები არ გაკეთებულა, რაც ახლა კეთდება. ამ მიმართულებით ერთად განვითარდით. გარდა ამისა, მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ნეიროქირურგია არის გუნდური სამუშაო. რომ არა ჩემი გუნდი, მარტო წარმატებას ვერ მივაღწევდი.

- რა ასაკში უნდა დაასრულოს ნეიროქირურგმა თავისი პრაქტიკული საქმიანობა?

- ეს ინდივიდუალურია, ექიმის ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე.

- სად შეიძლება, გინილოთ მომავალი?

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ, ალბათ, იმ საქმით დავკავდები, რომელიც ჩემს პროფესიასთან იქნება კავშირში. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია.

- თქვენი აზრით, რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგანან ქუთაისელი ექიმები?

- სიმართლე გითხრათ, მე მხოლოდ ჩვენი კლინიკის სახელით მინდა საუბარი, სხვაგან რა ხდება, არ ვიცი. მედიცინის განვითარება დამოკიდებულია ფინანსებზე და პრობლემები ცხადია,

არის. ერთ-ერთ მთავანს გამოყოფ, მაგალითად, საავადმყოფოების უმრავლესობაში დღესაც ფურცლებზე ხდება საჭირო დოკუმენტაციის წარმოება მაშინ, როდესაც ყველა განვითარებულ ქვეყანაში პაციენტების ისტორიები არის ელექტრონული და ცენტრალიზებული. ეს არის არამარტო ქუთაისის, არამედ მთელი ქვეყნის პრობლემა და მის აღმოფხვრაზე სახელწიფომ უნდა იზრუნოს. ექიმმა არ უნდა დახარჯოს დრო ფურცლებზე.

- რა როლს ასრულებს ქუთაისის სამედიცინო კუთხით რეგიონში?

- ჩემი ქუთაისში მუშაობის მიზანია, კეთლებოდეს ყველა იმ სახის ოპერაცია, რაც კეთდება მსოფლიოში. მე ვეცდები, ეს ყველაფერი საქმით დავამტკიცო. ამას სჭირდება დიდი მზარდაჭერა, რაშიც ხელს მიწყობს კლინიკა. ბოლო 3 წლის განმავლობაში 15-20 ძლიერ ნეიროქირურგიულ განყოფილებას ვეცდებოდა მსოფლიოში. წელიწადში 3-ჯერ ვესწრები საქმაოდ ძვირადღირებულ ვორქშოპებს. მუდმივი განვითარების პროცესში ვართ.

- რა არის თქვენი გუნდის მთავარი პრინციპი?

- ჩვენ ყველა ვაკეთებთ ერთ საქმეს, ჩვენი მიზანია პაციენტის გამოჯანმრთელება. გყავს ახალგაზრდა და მოტივირებული გუნდი. საქმის ერთგულება და გუნდურობა განაპირობებს ჩვენს შედეგებს.

- სამუშაოდ, მოსახლეობაში ძალიან დაბალი სამედიცინო ინტელექტია, რის გამოც ექიმები პაციენტებსა თუ მათი ახლობლების მხრიდან ხშირად არიან დაუმსახურებელი კრიტიკის მსხვერპლი. რამდენად რთულია სამედიცინო ეთიკის დაცვა ექიმის მხრიდან ასეთ შემთხვევებში?

- პაციენტსა და ექიმს შორის ყოველთვის უნდა არსებობდეს გარკვეული დისტანცია. ექიმმა, რაც არ უნდა ძნელი იყოს პაციენტთან მუშაობა, უნდა დაიცვას ეთიკური ნორმები, ეს დაუწყველი წესია. არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე პაციენტთან სტანდარტული მიდგომა არ შეიძლება, ამ დროს ვიკრიბებით 5-6 ქირურგი და გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება. თუმცა, ასეთი ქეისები იშვიათია.

რაც შეეხება სამედიცინო ინტელექტის ამაღლებას, სწორედ ამ საკითხში გვჭირდება მედიის დახმარება.

- რას ეტყვით თქვენს ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და იმ ადამიანებს, ვისაც სიცოცხლე შეუნარჩუნეთ?

- ჩემს ოჯახს ვეტყვი ბოლომდე იმისთვის, რომ ცოტა დროს ვუთმო. იგივეს ვეტყვი მეგობრებსაც. ნეიროქირურგები, ვინც აქ ვმუშაობთ, ამ საქმით ვცნობობთ, ყველაზე დიდ დროს აქ, კლინიკაში, ვატარებთ. კოლეგებს - ნეიროქირურგებს, ანესთეზიოლოგებს, რენიმაციის გუნდს - მაღლობას ვეტყვი, რადგან მათი, ყველას დამსახურებაა ის კარგი შედეგები, რაც გვაქვს.

ჩვენს გადარჩენილ პაციენტებს კი ვერჩევ, ვაფერხებოდნენ სიცოცხლეს და რაციონალურად გამოიყენონ ის.

\*\*\* ძველი რომაული სიბრძნე ამბობს "გყვარდეს და დანებარე". სიყვარული და ზრუნვა საუკეთესო წამალია - ამბობდა ცნობილი ექიმი პარაცელსი. მართლაც, განუზომელია სიყვარული და ჰუმანიზმის ზემოქმედების დადებითი ძალა. გისურვებთ, რომ მთელი ცხოვრება სიყვარულით გეკეთებინოთ თქვენი საქმი.

მადლობა საინტერესო საუბრისთვის, წარმატებები არ მოგკლებოდეთ!

ლიაა ლავლარიანი

P.S. მასალაზე მუშაობისას ვეცადე, მაქსიმალურად ობიექტური ვყოფილიყავი, თუმცა, რთულია, წერო ადამიანზე, ვისგანაც სიცოცხლით ხარ დავალებული და არ იყო სუბიექტური.